„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აგვისტო. 2023 *(6)89

დაბა ასპინძაში ჯეტუჩისა და დასვენების პარკი გაიხსნა

განახლებული პარკის კეთილმოწყობილი სივრცე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა და ასპინძის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ საზეიმოდ გახსნეს.

ღონისძიების ფარგლებში პარკის შიდა სივრცეში სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობა გაიმართა, მოეწყო ხალხური რენვის ოსტატთა და მოსწავლეახალგაზრდების ნამუშევრების გამოფენა.

ახლადრეაბილიტირებული, სრულად კეთილმოწყობილი, მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონა განახლებული ინფრასტრუქტურით და დასვენების ადგილებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტის და რეგიონის ტურისტული განვითარების საქმეში.

რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო ადმინისტრაციული შენობა, სპორტული და სამაგიდო თამაშების მოედნები, ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი, ჭადრაკის მოედანი, მათ შორის, განთავსდა სავარჯიშო სივრცე, სადაც დამონტაჟდა ტრენაჟორები; გაკეთდა საბავშვო-გასართობი ზონები სხვადასხვა ატრაქციონით – ფიზიკური აქტივობებისთვის; ფილებით მოპირკეთდა პარკის სავალი ბილიკები, მოეწყო საფეხმავლო, სარბენი და ველობილიკები, გაკეთდა შადრევანი, დამონტაჟდა განათების ქსელი. განთავსდა სკამები და სანაგვე ურნები, პარკში განახლდა მწვანე საფარი, დაირგო სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეები.

სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „ალმემ” შეასრულა, პროექტი გარდამავალი იყო და იგი 2 მილიონ ლარამდე დაჯდა, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ვარდიაშვილი, მხარის ადმინისტრაციისა და ასპინძის მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

ოლიმპიადა მათემატიკაში



ცოტა ხნის წინ მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა მათემატიკის ოლიმპიადა – „ზარზმაში“ გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია.

ზარზმის მონასტრის ფონდმა „სავანემ“ ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის მათემატიკაში ჩაატარა ოლიმპიადა სახელწოდებით „ზარზმა“, რომელშიც III-VIII კლასის 900-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. საპრიზო ადგილები საუკეთესო შედეგების მქონე 30-მა მოსწავლემ გადაინაწილა, რომლებსაც გამარჯვება მიულოცეს და მომავალი წარმატებები უსურვეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, მეუფე თეოდორემ და სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილმა.

გამარჯვებულები ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერებმა, ასევე რონდელის ფონდის პრეზიდენტმა ეკატერინე მეტრეველმა, თბილისის ვლადიმერ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დირექტორის მოადგილემ მალხაზ ჯინჭარაძემ და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის წარმოამდგენელმა მარეხ ყურმაშვილმა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

აუდიტორიის წინაშე ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ნომრებით წარდგნენ „თეატრალური კვარტეტი“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზარზმა“.

ღონისძიებას სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად ესწრებოდნენ ზარზმის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოადგენლები და დაინტერესებული პირები.

საქართველოს ზარზმის მონასტრის ფონდი „სავანე“ 2007 წელს დაფუძნდა, ხოლო „ზარზმის ბავშვთა აკადემია“ 2019 წლიდან ფუნქციონირებს და მათი ძალისხმევით ნიჭიერი მოსწავლეები მათემატიკას და ფიზიკას გაძლიერებული პროგრამით უფასოდ სწავლობენ. წლების განმავლობაში მათ მიერ მომზადებული არაერთი მოსწავლე ვ.კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში ჩაირიცხა.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია იწყებს „საპატიო ასპინძელის“ წოდების მინიჭებაზე წარსადგენად განაცხადების მიღებას.

განცხადებების მიღება იწარმოებს 2023 წლის 15 აგვისტომდე.

განცხადება წარედგინება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს.

კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვთ:

ა) საზოგადოებრივ, შემოქმედებით კავშირებს და პროფესიულ ორგანიზაციებს;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს;

გ) მუნიციპალიტეტის მერს;

დ) ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს;

ე) ფიზიკურ პირს, რომლის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას მხარს უჭერს, ასპინძის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები არანაკლებ საქართველოს ასი სრულწლოვანი მოქალაქე.

კანდიდატურის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს:

ა)კანდიდატურის წარმდგენი ორგანიზაციის ან პირების რეკომენდაცია წარდგენილი კანდიდატურის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ;

ბ)კანდიდატურის ღირსების, ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი, საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი, ან საპატიო ნოდებაზე წარდგენის დღემდე უცნობი დოკუმენტური და სხვა სახის მასალები;

გ) ბიოგრაფიული მონაცემები;

დ) წარდგენილი კანდიდატურის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ფიზიკური პირის მიერ წამოყენებული კანდიდატურის შემთხვევაში, დამატებით წარმოსადგენია მხარდამჭერ პირთა ხელმოწერები, სამუშაო ჯგუფის მიერ გაცემული ფორმის შესაბამისად.

წარმოსადგენი მასალები იგზავნება მისამართზე:

დაბა ასპინძა, მეფე თამარის ქუჩა N3 (ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარია).

მოქალაქეს, წოდება ,,საპატიო ასპინძელის“ მინიჭების შემდეგ, გადაეცემა მოწმობა, მედალი და ფასიანი საჩუქარი ან ფულადი ჯილდო.

შენიშვნა:

საკონტაქტო პირი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ბერიძე ტელ: 595-09-88-99.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

10 ივლისს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ნარჩენების მართვის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და აღრიცხვა - ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესიის დამტკიცების შესახებ;

2. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბერის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ;

4. „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 02 თებერვლის №გ-121. 121230332 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5 . ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

6 . ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (სოფელ დამალაში მდებარე) უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

7. ა(ა)იპ „ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბავშვო ბაღების გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

8. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის ინსტრუქცია.

დეპუტატებმა საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ თმოგვში საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში ახალი ორსართულიანი საბავშვო ბაღი შენდება, რომელიც გათვლილია სამოც აღსაზრდელზე და დაკომპლექტდება შესაბამისი პერსონალით.

პროექტით გათვალისწინებულია ბავშვთა სათამაშო და საძინებელი ოთახების, სველი წერტილების, დარბაზის, პერსონალის, ექიმის ოთახისა და საწყობის მოწყობა. ასევე ეზოს სრული რეაბილიტაცია.

ახლადაშენებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობით ისარგებლებენ როგორც ადგილობრივი, ასევე სოფლების: ნაქალაქევის, ფიის, თმოგვისა და მირაშხანის აღსაზრდელები. ბავშვთა ტრანსპორტირებას ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება უზრუნველყოფს.

სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,კ-კომპანია' აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 831 800 ლარს შეადგენს.

ლამაზი წარმოდგენა

სპექტაკლის მონაწილეები

20 ივლისს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა დაბის მოსახლეობას, – კულტურის ცენტრში წარმოდგენილი იქნა პრემიერა „ვარსკვლავთბიჭუნა“.

პატარა მსახიობები თავის მხრივ ბედნიერები იყვნენ, რომ საშუალება მიეცათ თავი წარმოეჩინათ, გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები და ამით ესიამოვნებინათ მაყურებელი.

ნორჩ მსახიობებს კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული საკუთრი როლი, ყველა ეცდებოდა გამართული მეტყველებით, სწორი პლასტიკითა და ემოციებით გადმოეცათ ის, რის თქმასაც პიესის ავტორი ცდილობს. გამოუვიდათ კიდეც. ეს, რა თქმა უნდა, თითოეულმა მონაწილემ წარმატებით გაართვა თავი – ლამაზად შეესრულებინათ მათზე მორგებული როლები, ამაში კი განსაკუთრებული დამსახურება რეჟისორს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს ლია სულიაშვილს ეკუთვნის, რომელმაც არ დაიშურა ძალა და ენერგია ბავშვებისთვის შეესწავლა ეს მეტად საინტერესო, მრავალმხრივ გასივრცეგანებული პროფესია – მსახიობობა.

წარმოდგენის ბოლოს დარბაზმა დამსახურებული ტაშით დააჯილდოვა პატარა მსახიობები.

მადლობა მერიას და კულტურის ცენტრს ამ საჩუქრისათვის.

მარიხი დათაშვილი

აქტიურად მიმდინარეობს შიდა გზების რეაბილიტაცია

სოფელ ოშორაში აქტიურად დაიწყო და პროექტის ფარგლებში შეუფერხებლად, აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, ეწყობა ასფალტბეტონის საფარი, გზის საყრდენი კედელი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა.

სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,არალი'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 982 999 ლარს შეადგენს.

სამუშაოების ხარისხიანად ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან დაწესებულია აქტიური ზედამხედველობა. ამ მიზნით, ახლახან, ადგილზე მისვლით კიდევ ერთხელ გაეცნო მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე მერიის შესაბამისი სამსახურისა და კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად.

პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრაში შიდა გზის რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტით დაგეგმილია ასფალტბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 440 416 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N2'' აწარმოებს.

კეთდება გზისპირა მოსაცდელები

ასპინძის მუნიციპალიტეტის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ოთაში აქტიურად მიმდინარეობს გზისპირა მოსაცდელების მოწყობა.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 52 087 ლარს.

ცოტა რამ ძველი ასპინძის შესახებ

ძვირფასო მკითხველო, რაც დრო გადის, თვალშისაცემი ხდება იმ მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად უცვლის როგორც დაბას, ასევე მუნიციპალიტეტის თითეულ სოფელს იერსახეს. ამ ფონზე, ნებსით თუ უნებლიედ, დავიწყებას ეძლევა ძველი, თითქმის საუკუნოვანი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, უბნები, ქუჩები... საბედნიეროდ, ასაკოვანი ადამიანების მეხსიერებას ჯერ კიდევ შემორჩა ძველ ასპინძაზე მოგონებები, რომელიც არამც და არამც დავიწყებას არ უნდა მიეცეს, რამეთუ ის ჩვენი გუშინდელი დღეა, ჩვენი ისტორიაა.

გავა დრო, ათეული წლები, უფრო მეტიც და მომავალი თაობის ინტერესს აუცილებლად გამოიწვევს დღეს აშენებული კულტურული, საეკლესიო თუ შპს ობიექტების ისტორია. ალბათ, ყველა დროში, დროსთან შესაბამისადაც, კიდევ ბევრჯერ შეიცვლება დაბისა თუ სოფლების იერსახე, იმ თაობასაც ექნება მომავლის გადასახედიდან ინტერესი დღევანდელობაზე. ამიტომ მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს, შემოვუნახოთ დღევანდელობა მათ.

„ასპინძის სიახლენი“ მემატიანედ უნდა იქცეს ხვალინდელი ასპინძელებისთვის და, ვინ იცის, როდის, ვის როგორ გამოადგება იგი მომავალში. ამიტომ გადავწყვიტეთ, ვიდრე ჯერ კიდევ არ არის გვიან და შესაძლებელია, პერიოდულად მივაწოდოთ ჩვენს ძვირფას მკითხველს ძველი ასპინძის შესახებ, შესაძლებლობის ფარგლებში, ფოტო თუ წერილობითი მასალები, მოდით, ნუ დავიზარებთ, მოიძიეთ თქვენს საოჯახო ალბომებში შემორჩენილი ძველი, დროჟამისაგან გაყვითლებული სურათები, წინაპართაგან დანატოვარი საინტერესო წერილები, მოგონებები, ისტორიები, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის წარსულს ეხება, ფოტოებში გავაცოცხლოთ ძველი ასპინძა და იქნებ მომავალში შევძლოთ ილუსტრირებული „ძველი ასპინძის“ ალბომის გამოცემაც კი.

აქვე, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ, ცოტა რამ გაუწყოთ ასპინძის უახლესი ისტორიის თაობაზე და იმედს ვიტოვებთ, პერიოდულად მოგაწოდოთ სხვა საინტერესო მასალებიც.

*

1932 წლამდე რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა სოფელი ტოლოში, ხოლო იმავე წელს რაიონული ცენტრი გადმოტანილი იქნა ასპინძაში.

იმხანად ასპინძაში ძირითადად სახლობდნენ მაჰმადიანი მესხები, 1900-იან წლებში ქრისტიანთა მხოლოდ ერთი – სადათიერაშვილების ოჯახი ცხოვრობდა დღევანდელ კურორტ „ასპინძის“ ტერიტორიაზე, ასპინძის გამგებლები კი დიასამიძეები იყვნენ, რომლებიც, იმავე პერიოდში, გავრცელებულმა ეპიდემიამ იმსხვერპლა. ცნობილი ფაქტია, რომ 1904 წელს ასპინძის ციხეს ვანდალურად მოახსნევინა ქვის პერანგი (თლილი ქვები) აწყურელმა ბეგმა და ურმებით გადაატანინა აწყურში სამშენებლო დანიშნულების მიზნით.

ასპინძის მოსახლეობა ცხოვრობდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად მიწურ ბინებში, ჰქონდათ ერთი მაღაზია და ყავახანა. პირველი მაღაზია მდებარეობდა დღევანდელი დ.ცინაძის ქუჩაზე, ხოლო ყავახანა – იმავე უბანში კურცხალიების სახლის წინ. მოგვიანებით მაღაზია გადაიტანეს შუშანა ოთანაძის სახლის წინ, სოფლის კოოპერატივის გამყიდველად დიდხანს მუშაობდა ალიოშა მელიქიძე. იქვე – მილიციის თანამშრომლებისთვის აშენებული იქნა ოროთახიანი საცხოვრებელი სახლი. ასპინძის ციხის გვერდით, მეჩეთის სიახლოვეს, ამავე პერიოდში აშენდა კოლმეურნეობის კანტორა. 1940-იან წლებში ამ უბანში მხოლოდ რამდენიმე ოჯახს ჰქონდა ყავრით დახურული საცხოვრებელი სახლი, მათ შორის ალექსანდრე და შალვა მელიქიძეებს და მარკოზ ბერიძეს. მოგვიანებით, 40-50-იანი წლების მიჯნაზე დაიწყო შიფრით გადახურული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

რაიონული ცენტრის ასპინძაში გადმოტანის შემდეგ აქტიურად დაიწყო სოფლის (1960 წელს მიენიჭა დაბის სტატუსი) ინფრასტრუქტურის განვითარება. 1930-იანი წლების მიწურულს აშენდა, დღევანდელი ასპინძის სასტუმროს ადგილზე, რაიკომის, მის გვერდით, ასპინძის სკოლის წინ – რაისაბჭოს აღმასკომის შენობა, სადაც განთავსდა თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურა (მის გვერდით აშენდა სასტუმრო „ასპინძა“, გვერდით დაიდგა საპატიო დაფა. 1934-36 წლებში – ასპინძის საშუალო სკოლა, სარაიონო კულტურის სახლი, დღევანდელი შპს „ძველის“ წინ – მილიციის შენობა, მეორე სართულზე – პროკურატურა, ამავე შპს-ს ადგილზე ფუნქციონირებდა – ე.წ. ბაზარი (შემდგომში ეს ადგილი ტოპონიმის სახით შემოგვრჩა). იქვე გაშენდა რაიკავშირის შენობა, რომლის პირველ სართულზე განლაგებული იქნა სასურსათო და ტანსაცმლის მაღაზია, მარჯვენა კუთხეში ადგილი დაეთმო სასადილოს (რომელსაც „გედევანას სასადილოდაც“ მოიხსენიებდნენ). ე.წ. კიბეების ძირში, დასახლდა ერთი რუსის ოჯახი (რომელსაც „ვანიას“ სახლს ეძახდნენ). ე.წ. უფუნქციოდ მიტოვებული სატყეოს ადმინისტრაციული შენობის გვერდით, მაჰმადიანთა სასაფლაოს ადგილზე – აშენდა სატყეოს ადმინისტაციული შენობა (კოპაძის დირექტორობის დროს).. ამჟამინდელი გაუქმებული ე.წ. ჰიგიენური აბანოს უკანა მხარეს ფუნქციონირებდა ძველი აბანო. არაუგვიანეს მე-19 საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს დღემდე შემორჩენილი კურორტ „ასპინძის“ ხიდის მარჯვნივ ძველი გოგირდოვანი აბანოს ნანგრევები, ახალი კი გაშენებული იქნა 60-იანი წლების დასაწყისში.

ასპინძა. 30-იანი წლები

ძველი ბაზარი. 1960-იანი წლები

ასპინძის ომის მემორიალურ ქვასთან, გასული საუკუნის 50-იან წლებში გაიხსნა ე.წ კოოპერატივი, რომელსაც ბოლო წლებამდე „ნესტორას მაღაზიას“ ეძახდნენ, მის უკან კი ფუნქციონირებდა ფოსტის შენობა. ამავე პერიოდს – 50-იანი წლების მიუწურულს და 60-იანი წლების დასაწყისში აშენდა რაიონული საავადმყოფო, ე.წ. „მესპრომი“ (საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნო – ამჟამად კერძო საკუთრებაში იმყოფება), 40-იან წლებში – ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლები (ორი მათგანი 60-ბინიანის ადგილზე მდებარეობდა). ასევე 1940 წლამდე იქნა აშენებული სტამბის შენობა, რომელიც მდებარეობდა მუნიციპალიტეტის მიმდებარედ და აზერბაიჯანულ ენაზე გამოდიოდა ორგვერდიანი გაზეთი.

1936 წელს გაშენდა ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკი, რომლის აგრონომი იყო ალექსანდრე ბერიძე, სოფელ ერკოტიდან. პარკი თავდაპირველად შემოიღობა მაღალი მესერებით (ბეტონის სვეტებით, რომელიც სამოციანი წლების დასაწყისშივე, სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, დაანგრიეს), სადაც ძირითადად დარგეს ფიჭვნარი ხეები, დაბალი ტანის დეკორატიული ბუჩქები, მათ შორის ტუია, სასტუმროს წინ და პარკის შესასვლელთან – კედარის 2-2 ნერგი, რომლებიც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდნენ, დაიდგა შადრევანი (ქალთევზას სახით, წრიულად ბავშვის სკულპტურებით. აუზში მრავლად იყო გაშვებული მტკვრის თევზი), რომლის გარშემო გაკეთდა ყვავილნარი. 50-იანი წლების მიწურულს პარკში აშენდა კინოთეატრის შენობა (მანამდე კინოფილმები გადიოდა კულტურის სახლში). იმავე პერიოდში პარკში, დღევანდელი მშენებარე ეკლესიის ადგილზე, ფუნქციონირებდა ღია კარუსელი; პარკის მარჯვენა მხრის კუთხეში – ფოტო-სალონი, სადაც მუშაობდა ეროვნებით ებრაელი ფოტოგრაფი, სახელად აბრამა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დღევანდელი სასტუმროს წინ დაიდგა ლენინის ძეგლი, კულტურის ცენტრის გვერდით საცხოვრებელი კორპუსის პირდაპირ - სტალინის ძეგლი.

1961 წელს, რაიონების გამსხვილების შემდეგ, როდესაც ასპინძა ახალციხის რაიონულ დაქვემდებარებაში გადავიდა (1961-65 წლებში), გაპარტახდა როგორც კულტურისა და დასვენების პარკი, ასევე აქ არსებული კინოთეატრის შენობაც, მათ შორის ერთ-ერთი ძვირად ღირებული ბროლის ჭაღი, რომელიც ნაწილ-ნაწილ გაიძარცვა.

მოგვიანებით, ე.წ. სამკუთხა პარკის ცენტრში დაიდგა რუსთაველის ძეგლი, რომელიც 1987 წელს გადაიტანეს რუსთაველის ახლადგახსნილი მუზეუმის წინ, ხოლო მუზეუმის დანგრევის შემდეგ – ამჟამინდელ ადგილზე. ასევე 1988 წელს წარწერის – „მე მიყვარს ასპინძის“ წინ დაიდგა ლენინის ძეგლი-მემორიალი (აღებული იქნა მეორე წელსვე).

1944 წლის ნოემბერში ამჟამინდელ კულტურისა და დასვენების პარკში შეკრიბეს ასპინძის რაიონში მცხოვრები ყველა მაჰმადიანი მესხი და აქედან მოხდა მათი გადასახლება შუა აზიაში.

1950-იანი წლებიდან ორივე პარკის მომვლელად დაინიშნა დაბა ასპინძაში მცხოვრები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, პეტრე ასპანიძე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მის მოვლა-პატრონობის საქმეს და მოსახლეობამ ამ პარკს „პეტრეს ბაღი“ დაარქვა. ასევე წინვოვანი პარკის გამო მას „ხას-ბაღსაც“ ეძახდნენ.

ეს პარკი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გალაკტიონს სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის დროს მეგზურებთან და რაიონის ხელმძღვანელ პირებთან ერთად აქ მდებარე სტალინის ძეგლთან გადაღებული ჰქონდა სურათები, რომლებიც ამჟამად დაცულია გ.ლეონიძის სახელობის თბილისის ლიტერატურის მუზეუმში.

მინაწერი: *გაზეთის ამავე ნომერის პირველ გვერდზე გთავაზობთ ინფორმაციას დაბის ცენტრში რეაბილიტირებული კულტურისა დასვენების პარკის გახსნის თაობაზე, რომელიც უეჭველად დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც ვიმედოვნებთ, მომავალში, ამ განახლებული პარკის ისტორიით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს.*

იმედს ვიტოვებთ, ვისაც შეუძლია აღიდგინოს მეხსიერებაში თითოეული დეტალი, ფაქტი, გამოიჩინენთ გულისხმიერება, მოგვაწოდეთ შესაბამისი მასალა, დავიწყებას ნუ მივცემთ ჩვენს გუშინდელ დღეს, თქვენით დაეუბრუნოთ „ძველი ასპინძის სახე“ ჩვენს მომავალ თაობას. ამასთან ამ წერილში თუ რამე უზუსტობა გაგვეპარა, თქვენთან ერთად დავხვეწოთ და მეტი დამაჯერებლობა მივცეთ თითოეულ მათგანს. ერთად ყველაფრის გაკეთება შეგვიძლია. ასევე ვთხოვთ სოფლის მოსახლეობას, ანალოგიურად მოგვაწოდეთ მასალები თქვენი სოფლის თაობაზე. მათ შორის თუ რამ წერილობითი მასალა მოგვეპოვება სოფლის წარსულსა თუ ბევრ სხვა საინტერესო ფაქტებზე და ა.შ. ყოველივე ეს ასახვას ჰპოვებს ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებში.

ავთანდილ ბერიძე

ასპინძის პირველი ხიდის მშენებლობის ისტორია

შაი უსტა საიდ ოღლისთვის ახალციხის მაზრის სოფელ ასპინძასთან, მდინარე მტკვარზე, ხიდის მშენებლობისთვის ნებართვის შესახებ.
რამდენიმე ფურცლიანი საქმეა, ძირითადად ხელნაწერი, ერთი ფურცელია მხოლოდ ბეჭდური

(ფურცელი 1)

თბილისის გუბერნატორს

(ხელნაწერი შესულია და ბეჭედი აქვს დარტყმული 1912 წლის 22 ივნისს

თბილისის გუბერნიას საგლეხო საქმეებზე)

ასპინძის მინერალური წყლების არენდატორის, სოფელ ქვემო ოშორის მცხოვრების, იდუმალის სათემო საბჭოს ახალციხის მაზრის მცხოვრების *შაი უსტა საიდ ოღლის*

თხოვნა

ასპინძის მინერალური წყლები მდებარეობს თბილისის გუბერნიაში, ახალციხის მაზრაში, მდინარე მტკვირის მარცხენა ნაპირას, სოფელ ასპინძის მოპირდაპირე მხარეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ახალციხის უეზდის იდუმალისა და ლეპისის სასოფლო თემების საზღვრებში მდინარე მტკვარზე არსად არაა აშენებული ხიდი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადასაკვეთად (переправа) და უსაფრთხო გზის ??? -თვის [...] აშენდეს მდინარე მტკვარზე ხის ხიდი თავისუფალი და უსაფრთხო გზის გახსნისთვის ასპინძის მინერალურ წყლებთან, უმორჩილესად (покорит) გთხოვ.

აუცილებელია გასავლები ხიდის მშენებლობაზე საკუთარი სახსრებით.

(ხელმოწერა მკრთალად გაკეთებულია ოსმალურად).

1912 წლის 19 იანვარი

(ფურცელი 4)
(ბეჭდური)
შემოსულია თბილისის საგუბერნიო მმართველობისგან 1912 წლის 21 ივლისს

ახალციხის მაზრის უფროსს

საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო განყოფილება просить объяавить გთხოვთ გამოუცხადოთ სოფელ ქვემო ოშორის, იდუმალის თემის მცხოვრებ შაი უსტა საიდ-ოღლის, რომ რომ მისი თხოვნა აშენდეს ხიდი მდინარე მტკვარზე სოფელ ასპინძასთან, впредь до представления двухъ гербовыхъ марокъ по 75 коп. каждая, оставлено без движения.

საგუბერნიო ინჟინერი
1912 წლის 7 ივლისი
ახალციხის უეზდის ნაჩალნიკის ბეჭედი

(ფურცელი 7)
(ბეჭდური)
21 დეკემბერი, 1912 წელი. შემოსულია თბილისის საგუბერნიო მმართველობისგან 1912 წლის 17 დეკემბერს

ახალციხის მაზრის უფროსს

სამშენებლო განყოფილება ითხოვს შეთავაზონ სოფელ ოშორის, იდუმალის თემის მცხოვრებს შაი უსტა საიდ ოღლის წარმოადგინოს პროექტი რომელიც ითვალსიწინებს ხიდის აგებას მდინარე მტკვარზე სოფელ ასპინძასთან პროექტის დასამტკიცებლად და ბეჭდის და მისი ასლი თითოეული ფორმატისათვის / на утверждение и гербовый сборь на проекть и копию съ него, на каждую форматку

(ფონდი 204–1781/153. 8 ფურცელი, 1912 წლის 28 ივნისი-1913 წლის 17 იანვარი).

2022-2023 სასწავლო წლის შედეგები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში 2022-2023 სასწავლო წელი მნიშვნელოვანი სიახლეებით იყო აღსანიშნავი. პირველ რიგში გამოვყოფდი ავტორიზაციის პროცესის დაწყებას. ამ ეტაპზე სამი – ასპინძის, ოთისა და ორგორის საჯარო სკოლები, წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ცნობილ იქნენ მაძიებლად და დიაგნოსტიკური თვითშეფასების ეტაპზე არიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფუნქციები და როლი, ჩართულობა ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობისა და, საერთოდ, ყველა მიმართულებით თანამშრომლობის თვალსაზრისით.

სასწავლო წლის განმავლობაში 18-ივე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა – ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში განახლებული სახელმძღვანელოებით, ტექნიკური და თვალსაჩინო რესურსებით.

კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას სკოლებისა და რესურსცენტრის მხრიდან. სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და ვებინარებში პედაგოგებისა და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობას.

სკოლებში განხორციელდა არაერთი წარმატებული პროექტი, სხვადასხვა კონკურსი და აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა კრეატიულობის, მოტივაციის ამაღლებას, მათი აქტივობების ხელშეწყობას და სასკოლო ინიციატივების წახალისებას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ სხვადასხვა რესპუბლიკურ კონკურსებსა და ფესტივალებში, ანაკლიის, შაორის, სალიბაურის ახალგაზრდულ ბანაკებში.

ყურადღების ცენტრში იყო სკოლების ინფრასტრუქტურული განვითარება. სრულად რეაბილიტირებულია დაბა ასპინძისა და ოთის საჯარო სკოლები, ორგორის, ზველისა და ჭობარეთის საჯარო სკოლებში დამონტაჟდა და ჩაირთო ცენტრალური გათბობის სისტემები და სხვ.

17 საჯარო სკოლაში სრულყოფილად გაკეთდა და აღიჭურვა სამედიცინო კაბინეტები, დაინიშნა ექიმები და ექთნები. ამჟამად ვაკანსია ცხადდება მირაშხანის საჯარო სკოლის ექთნის შტატზე, სადაც უკვე დასრულებულია სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და სამედიცინო ინვენტარით აღჭურვა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლების ნაწილში საკუთარი თანხებით განხორციელდება სხვადასხვა სახის კოსმეტიკური რემონტი, განახლდება ინვენტარი, შეივსება სახელმძღვანელოების ფონდი, პირველკლასელებს გადაეცემათ კომპიუტერები.

ტრისტან მურადაშვილი,
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

მატიანე



ასპინძის ზედაუბნელი ბავშვები. 1961 წელი

სპორტი

ჩემპიონატი ფეინთბოლში

საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, ასპინძაში ფეინთბოლში ჩემპიონატი ჩატარდა.

ჩემპიონატში 12 გუნდი და 60-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.

შეჯიბრში გაიმარჯვა გუნდმა „რეზერვისტმა“, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატში.

ფეინთბოლის ჩემპიონატი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა და მისი მიზანი ექსტრემალურ სპორტში ახალგაზრდების ჩართვაა.

დემოგრაფია

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნება წლების მიხედვით:

აღწერის წელი	მოსახლეობა:		
1800	784 700	1979	5 014 800
1832	892 100	1989	5 400 841
1865	1 289 200	2002	4 371 535
1886	1 641 900	2014	3 787 000
1897	1 919 400	2020	3 716 900
1926	2 677 233	2023	3 736 000
1939	3 540 023		
1959	4 044 045		
1970	4 993 182		

შენიშვნა: მოსახლეობის 60, 4% ცხოვრობს ქალაქ ად

დონარი ადეიშვილი

მესხი ვარ

მე ვეტრფი მესხეთს, –
ხერთვისს,
ვარძიას,
თმოგვის კიხეს და
ქვაბებს ვანისას.
ზარზმას, ხვილიშას,
ჩიხორიშსა და
ვარანტის ველებს,
ქუნკას, აწყვიტას...
თოკსა და ვარგავს,
წვერის წყაროს და
ჩემს აბასთუმანს.
ვეტრფი ობოლეთს
და ნაქალაქევს,
წუნდის ტბასა და
დედოფლის წყაროს,
მესხეთს უძველესს
და უნეტარესს,
მე ვეფერები უდეს და
არალს,
ჩემს ახალკიხეს
მინაძეს, რაბათს,
მთელ საქართველოს,
ბაღსა და ვენახს,
ქართველი კაცის
გამრჯე მარჯვენას!
მეამაყება,
რომ მქვია მესხი,
იქ დავიბადე,
ავიდგი ფეხი,
იქ შემასწავლეს ქართული ენა
და სიყვარული
მშობლიურ ქვეყნის.

ახალი წიგნები

ახლახან ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი წიგნებით:

1.კონსტანტინე გამსახურია - „მთვარის მოტაცება“ („პალიტრა“);
2.კონსტანტინე გამსახურია - „დავით აღმაშენებელი“ - I-II ტ. („პალიტრა“);
3.კონსტანტინე გამსახურია - „დავით აღმაშენებელი“ – III-IVტ. („პალიტრა“);
4.კონსტანტინე გამსახურია - „დიონისეს ღიმილი“ – („პალიტრა“);
5.კონსტანტინე გამსახურია - „ვაზის ყვავილობა“ („პალიტრა“);
6.კონსტანტინე გამსახურია - „დიდოსტატის მარჯვენა“ („პალიტრა“);
7.კონსტანტინე გამსახურდია - „ნოველები ლანდებთან ლაციცი“ („პალიტრა“);
8.როინ მეტრეველი - „კავკასიის ისტორია“ – I ტ. („არტანუჯი“);
9.როინ მეტრეველი - „კავკასიის ისტორია“ – II ტ. („არტანუჯი“);
10. ექვთიმე თაყაიშვილი – 12 ტომი („არტანუჯი“);
11. „ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლების კატალოგი“ („არტანუჯი“);
12.კუკური მეტრეველი - „ჯავახეთი“ (ისტორიულ-კულტურული ნარკვევი) – („არტანუჯი“);
13.ნანა მანველიშვილი - „არ დამივიწყო“ („პალიტრა“);
14. ემილი ბრონტე - „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ („პალიტრა“);
15.გრიგოლ აბაშიძე - „ლაშარელა“ („საქართველოს მაცნე“);
16.გრიგოლ აბაშიძე - „ცოტნე“ („საქართველოს მაცნე“);
17.გრიგოლ აბაშიძე - „ყორნალი“ („საქართველოს მაცნე“);
18. გრიგოლ აბაშიძე - „დიდი ღამე“ („საქართველოს მაცნე„;
19.სერგი მაკალათია - „თორი“ („არტანუჯი“);
20.ზურაბ ჩხეიძე - „სიყვარული, ტყუილი, ემოციები და თვითშეფასება ურთიერთობაში“ – („აზროვნების აკადემია“);
21.გურამ მეგრელიშვილი - „როგორ ველაპარაკოთ შვილებს“ („აზროვნების აკადემია“);
22.სიყვარული („აზროვნების აკადემია“);
23. მერაბ მამარდაშვილი - „მე მოვდივარ თქვენთან ჩემი მარტოობიდან“ („აზროვნების აკადემია“);
24.გურამ მეგრელიშვილი - „ხელი გამიშვი დედა“ („აზროვნების აკადემია“);
25.ბრონტე ვილეტი („პალიტრა“);
26 მერი ჩეპმენი - .„სიყვარულის ენა“ - (პალიტრა“);
27.მაგდა კალანდაძე - „მეორე ოთახი“ („დიოგენე“);
28. ჰუვერი კოლინ - „მახინჯი სიყვარული“ („პალიტრა“);
29.კულინ ჰუვერი - „ყველაფერი მთავრდება ჩვენით“ („პალიტრა“);
30.ჯაბა სამუშია - „დიდგორის ბრძოლა“ („პალიტრა“);
31.ბრიტ ბენეტი - „დაკარგული ნახევარი“ („პალიტრა“);
32.ნინო ხარატიშვილი - პიესები („ინტელექტი“);
33.ნინო ხარატიშვილი - „უკმარი სინათლე“ („პალიტრა“);
34.გურამ მეგრელიშვილი - „რამდენიმე სიტყვით სიყვარულზე“ („ინტელექტი“);
35.გიორგი ლომიძე - „ადამიანთა ფსიქოლოგიური ანატომია“ ;
36.გომბრიხ ერნესტი - „მსოფლიოს მოკლე ისტორია“ („სულაკაური“);
37.ლიბერთინს - „ჩემი არ გესმის“ („პალიტრა“);
38.ნორმან ვენსენტი - „პოზიტიური აზროვნების ძალა“ („პალიტრა“);
39.ბაირო ქეითი - „გიყვარდეს ის, რაც არის“ („პალიტრა“);
40.იკიგაი - „ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრება“ („პალიტრა“);
41.კულინარიული დღიურები - „პალიტრა“);
42.ანი ერნო - „წლები“ („პალიტრა“);
43.თამთა მელაშვილი - „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ („პალიტრა“);
44.ნიკოლას სპარქსი - გზა საკურთხევლისკენ“ (პალიტრა“);
45.ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი - უკანასკნელი მაგნიტის სიყვარული“ („ქარჩხაძე“);
46.ნინო ხარატიშვილი - „ჟუჟა“ („ინტელექტი“);
47. ჯაბა ზარქუა - „ბოლოს იყო სიტყვა“ (სულაკაური“);
48.თიკო ჩხეიძე - „აღსარება დედისა“ („წიგნიერერი“);
49.ნათია ჯაგოდნიშვილი - „შეცდომა“ („პალიტრა“);
50.„მიყვარხარ“ - ქართველი პოეტები სიყვარულზე („პალიტრა“).

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო სამსახური

მესხური ქორწილი

ქალისა და ვაჟის შეთანხმების შემდეგ (ან მშობლების თანხმობის შემდეგ) დიდმარხვის დროს ბეი გაიცვლებოდა. აღდგომას ნიშანს მიუტანდნენ.

მარიამობას ქალის სანახავად მიდიოდნენ. წაიყვანს მაზლი ან მამამთილი (სიძე არ შეიძლება) და მიჰყავთ დღეობაზე.

ქორწილს ნოემბერში იხდიდნენ.

კაცი მიდის მაყრებით პატარძლის სახში. წინდაწინ გაგზავნიან ქესუმს1. ქალის სახში მისული მაყრებიდან გამოვა მახარობელი და ამბობს:

„მე ვარ მახარობელიო,
სახლის გამხარებელიო,
დამილოცეთ დარბაზიო,
ბიჭი მამყავს ვაშკაციო...“

ქეიფი რო მორჩება, წაიყვანენ ქალს ვაჟის სახში. როცა ქალი მიჰყავთ, გზაში გადაუღობებენ ჭერს2. გზის გასახსნელი უნდა მისცეს ან მოყვარემ ან ნათლიამ.

ბიჭის და ქალის სახში კარებს კეტავენ წასვლისა და მოსვლის წინ ბავშვები, რათა საჩუქარი აიღონ. იხდიან მოყვრები.

კაცის და ქალის სახში დადგმულია აჯილაკი.3 ზედ ბავშვები სხედან. ნათლია ბავშვებს აძლევს ფულს, რომ ნეფე-დედოფალს ადგილი გაუნთავისუფლოს.

ნეფე რო მიდის პატარძლის სახში, პატარძალი შინ არ ხვდება, მეზობლებთან არის. მიდიან ფულით, იხსნიან პატარძალს მეზობლებისაგან და ფულს უხდიან ქალის მომრთველებს. პატარძალს ფულს უყრიან ფეხსაცმელში. ერთს აქვე აცლიან მამის ოჯახში, მეორეს – ვაჟისაში.

პატარძლის დასახსნელათ ძმას უნდა გადაუხადოს ფული იმ მზითვისთვის, რომელიც ქალს მიაქვს. ქალის მზითვი შუა ოთახში დევს. კიდობანი დაკეტილია, ზედ ზის პატარძლის ძმა.

თუ პატარძალი ცხენებით მიიყვანეს, ქმრის სახში ან მაშინით, ოთახის კარებთან ახვედრებენ დიდ ქვაბს. პატარძალი უნდა გადმოვიდეს ქვაბზე, მერე მოტრიალდება, ქვაბს ააყენებს. იმის შემდეგ დაიბება დიდი ფერხული, შეიყვანენ სახში, სადაც სუფრას მიაგებებენ ტაბლაზე დადებულს. ტაბლაზე აწყვია სანთლები, შაქარი, პური. ქალმა მარტო შაქარი უნდა აიღოს.

ქალი რო გაყავთ სახლიდან, სიდედრი სიძეს უგზავნის ჭიქა არაყს. შიგ არი ბეჭედი, რომელიც სიდედრმა აჩუქა. სიძემ ფიცი უნდა გაუგზავნოს სიდედრს.

პატარძლის წაყვანა ქალის მამის სახლიდან ძალიან ცუდ ხასიათზე აყენებს ოჯახის წევრებს.

იმათზე იტყვიან:

„ვაი, პატარძლის დედასა,
თაგვნი უსცხედან კერასაო.“

ბიჭის სახში მისული მახარობელი მღერის:

„მე ვარ მახარობელიო,
გულის გამხარებელიო,
დამიცალეთ დარბაზიო,
ქალი მამყავს ლამაზიო.“

ქორწილი რო დაიწყება და ნეფე-დედოფალი აჯილაკზე დასხდებიან, მაშინ მღერიან:

„ნეტავი ნეფის დედასაო,
ანგელოზები უსხედს კერასაო.“

ბიჭის სახში ქორწილი სამ დღეს ან ერთ კვირას გრძელდებოდა. მაყრებიც აქ არიან.

მთქმელი ნიკოლოზ ტივაძე, 63 წლის, ასპინძის რაიონი, სოფელი ერკოტა.
ჩაიწერა თეიმურაზ ძურდოვანიძემ 1965 წელს.
თსუ ფა N4022

1 ქესუმი თათრული სიტყვაცაა და მისატანს ნიშნავს. უმთავრესად ხორცეულს. ქესუმი ქორწილის წინა დღით მიაქვთ, სასმელი კი იმავე დღეს (მთქმელი);

2 ჭერი გრძელი ჯოხია ნეფე-დედოფლისთვის გზის გადასაღობად (მთქმელი);

3 აჯილაკი ნეფე-დედოფლის საჯგომ ტახტს ეწოდება (მთქმელი).

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია